პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ივლისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 131 (9798) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშობანი

საქართველოს სპორტსმენთა მონაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

⊙ **ოქროს მედლები — გიორგი გაჩეჩილაძე** (83 კგ; ზესტაფონი, „დინამო“), **ვეფხია ავალიანი** (90 კგ; რუსთავი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება); **დავით ხახალეიშვილი** (90 კგ; ქუთაისი, „დინამო“).

გიორგი გაჩეჩილაძე



ვეფხია ავალიანი



დავით ხახალეიშვილი

⊙ **ვერცხლის მედალი — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი.**

⊙ **ბრინჯაოს მედალი — გიორგი გავარდაშვილი** (83 კგ; ახმეტა, „დინამო“).

⊙ 6 ივლისისათვის საქართველოს წარგზავნილებს სულ მოპოვებული ჰქონდათ **17 მედალი, აქედან ოქროსი — 6, ვერცხლისა—7, ბრინჯაოსი — 4.**

⊙ რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებებზე და უწყებებზე მედლები ასე ნაწილდება: **პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება 4-4-3; „დინამო“ 2-3-1;** ჯერჯერობით არც ერთი მედალი არ დაუმსახურებიათ „შრომითი რეზერვებისა“ და არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლებს. ტერიტორიული პრინციპით: თბილისი — **3 ოქროს მედალი** (აქედან ორი გუნდური), **ვერცხლისა — 2, ბრინჯაოსი — 2;** ქუთაისი — **3 ოქროს მედალი** (აქედან ორი გუნდური); რუსთავი — **2 ოქროს მედალი** (ერთი გუნდურში), **1 ვერცხლისა;** ზესტაფონი — **1 ოქროს მედალი;** საგარეჯო — **1 ოქროს მედალი;** ლაგოდეხი — **1 ოქროს მედალი** (გუნდურში), ქობულეთი — **1 ვერცხლის მედალი;** ახმეტა — **3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი,** მარტყოფი — **1 ბრინჯაოს მედალი.**

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ არც ერთ თბილისელ ძიუდოისტს ამ თამაშებში მედალი არ მოუპოვებია. რატომ? ჯერჯერობით არსად ჩანან აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

სახ. სამ. ეროვნ. ბიბლიოთეკა

თამაშების დღიური

მაგიდის ჩოგბურთი (გორკი). საქართველოს ნაკრები გუნდი პირველ თამაშებში XIV ადგილზე იყო. ახლა ბიჭებიც და გოგონებიც (გარდა უფროსი ასაკის გოგონებისა) უკვე რვა უძლიერესთა შორის მონაწილეობენ, რაც მინიმუმ VIII ადგილის გარანტიას იძლევა. გაგაცნობთ ტურის შეხვედრების შედეგებს. ბიჭები. უმცროსი ასაკი: საქართველო — რსფსრ (გორკი) 1:3; საქართველო — უკრაინა 1:3. უფროსი ასაკი: საქართველო — სომხეთი 5:4; საქართველო — მოსკოვი 2:5. გოგონები. უმცროსი ასაკი: საქართველო — თურქმენეთი 0:3; საქართველო — რსფსრ 0:3. უფროსი ასაკი (IX-XII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები): საქართველო — ბელორუსია 3:5.

სატრეკო ველოტრასა (ტულა). სპრინტში თბილისელი ედუარდ კარაპეტიანი ნახევარფინალში გავიდა. მშვილდოსნობა (ჩებოქსარი). საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები ნახევარფინალში იასპარეზებენ. გოგონებში სულიკო თოფურია ლიდერთა შორისაა.

თანამედროვე ხუთჭიდი (უფა). დამთავრდა გუნდური ასპარეზობა. საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. პირველი იყო რსფსრ, მეორე — უკრაინეთი. პირად პირველობაში ვ. მალიშევი (თბილისი, „დინამო“) ოთხი სახეობის შემდეგ მესამე ადგილზეა. ხუთჭიდელებს დაგეგმილი ჰქონდათ VI-VII ადგილი.

კალათბურთი (სარატოვი). ბიჭები: საქართველო — თურქმენეთი 92:46.

ძიუდო (ძერჟინსკი). ასპარეზობა დამთავრდა. ჩვენმა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. პირველ თამაშებზე გუნდი ჩემპიონი იყო. ამჯერად დაგეგმილი ჰქონდათ პირველი ადგილი. სულ საქართველოს ძიუდოისტებმა ამ თამაშებში მოიპოვეს 9 მედალი, დაგეგმილი იყო — 13.

კანდიდატები გამოცდებს აბარებენ

გურამ გედეხაური გამარჯვებულთა შორის

ლაიფციგი. ამ შეჯიბრებას კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა საბჭო საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა. ჯერ თავისთავად, ცნობილი გერმანელი ანტიფაშისტის ერნერ ზეელენბინდერის მემორიალი მოჭიდავეთა სამყაროში დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობს და უმაღლესი კატეგორიის შეჯიბრებათა რიცხვს განეკუთვნება. და მართლაც, ტურნირში მონაწილეობა მიიღო 17-მა ქვეყანამ თავისი უძლიერესი მოჭიდავეებით. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებისთვის ეს შეჯიბრება ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ.

გურამ გედეხაური.

პირდაპირ ვიტყვით, ნაკრების კანდიდატებმა და მათ შორის თბილისელმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა გურამ გედეხაურმა, გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. სულ კი ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრების ექვსმა წევრმა დაიმსახურა. ესენია: მინსკელები ო. არუთინიანი (57 კგ) და კ. მაჯიდოვი (62 კგ), ლენინაკანელი ლ. ჯულფალაკიანი (68 კგ), როსტოველი ს. ნასევიჩი (82 კგ), ომსკელი ვ. პოპოვი (90 კგ) და თბილისელი გ. გედეხაური (100 კგ).

გამარჯვებასთან ახლოს იყო საბჭოთა გუნდის კიდევ ორი წევრი, მაგრამ ისინი ფინალში დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ბაქოელ მ. ალახვერდიევს (48 კგ) გფრ-ის წარმომადგენელმა მ. შერერმა აჯობა, კიეველ ა. კალაშნიკოვს კი (52 კგ) შვედმა პ. სტენბერგმა.

მხედრების ბოლო სტარტები

მოსკოვში პროფკავშირთა საცხენოსნო სპორტულ კომპლექს „ბიტცას“ სარბიელზე დღეს იხსნება ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა) სსრ კავშირის თასის გათამაშება. 10 დღის შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონატი ჩატარდება. საბოლოოდ ამ შეჯიბრებაში გადაწყდება თუ ვინ გაემგზავრება სეულის ოლიმპიადაზე. კანდიდატებს შორისაა გუდაუთელი მხედარი ხარლამ სიმონია.

აბიტურიენტი-88 ⊙ მიმდინარეობს ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში



თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე (კონსტიტუციის ქ. № 6), აბიტურიენტებისგან ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლებს იბარებს თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია, რომელსაც ამავე უმაღლესი სასწავლებლის პროორექტორი ვახტანგ სართანია ხელმძღვანელობს. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი კომისიის ნორმალური მუშაობისათვის, ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლებს მხარში უდგანან ინსტიტუტის სტუდენტი-სპორტსმენები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

სამი ლიდერი

რომი. კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო იტალია-ესპანეთის მატჩი. იტალიელებმა პირველი ტაიმი ქულით მოიგეს — 46:45. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უფრესად მძაფრი იყო და დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 91:90.

საბჭოთა ნაკრებმა ამ დღეს გფრ-ის გუნდს აჯობა 121:92 (66:41). გამარჯვებულთაგან საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ: ჟურტინაიტისი—25 ქულა, ტიხონენკო — 16, მიგლინიეკსი — 15.

მესამე ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: იუგოსლავია-ინგლისი 102:85, საბერძნეთი-საფრანგეთი 89:79.

სატურნირო ცხრილში დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა: საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, იტალია 3-3 გამარჯვება, ესპანეთი — 2, საბერძნეთი — 1, ინგლისი, გფრ და საფრანგეთი — არც ერთი.

უიმბლდონის ყველა ჩემპიონი

ლონდონი. უიმბლდონის ტურნირზე მედლების მეხუთე კომპლექტი შერეულ წყვილთა თანრიგში გათამაშდა. აქ ფინალი წმინდა ამერიკული იყო: შ. სტიუარდმა და ზ. ჰარისონმა კ. ჯონს — გ. მაგერსის წყვილი დაამარცხეს — 6:1, 7:6.

გამოვლინდნენ ჩემპიონები იუნიორებსა და ვეტერანთა (35 წელზე ზევით) შორის. იუნიორებში ნ. პერეირამ (ვენესუელა) და ბ. შულცმა (ჰოლანდია) გაიმარჯვეს. ვეტერანთა ტურნირის ფინალში კი ერთმანეთს შეხვდნენ ტუუპისცალები ტომ და ტიმ ჰალიკსონები (ორივე — აშშ). გაიმარჯვა ტომმა.

ᲭᲐᲒᲣᲙᲗᲐ II ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

„ᲣᲚᲘᲓᲔᲠᲝᲓ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲒᲕᲘᲫᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐ“

ᲑᲝᲚᲝ წლებში .საქართველოს ტანმოვარჯიშე გოგონები პასუხსაგებ შეჯიბრებებში სუსტად ასპარეზობენ. არ ჩანან რუსეთიდან სიხარულიძის, ნინო დრონოვასა და სხვათა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები. ხვალ ვორონეჟში ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების პროგრამით ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა დაიწყება. ჩვენი გოგონების მზადების შესახებ გვესაუბრება რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **რუსუდან სიხარულიძე:**

— ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის 12 ტანმოვარჯიშე შევარჩიეთ. მწვრთნელების — ნიკო მიქელაძის, სერგეი მურადხანიანის, გოგი გიუტაშვილის, ლიუდმილა ნოვიკოვას, მარგარიტა კრასილნიკოვას, აკრობატ თემურ ქოიავას, აკომპანიატორ ივეტა ნამგალაძის, მასაჟისტ ლილი დავითაიას და ექიმ ანჟელა სევასტიანოვას დახმარებით ისინი ორი წელია ერთად მეცადინეობენ. ამ გუნდმა პირველი დიდი გამოცდა შარშან ჩაბარა— სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე. სამწუხაროდ, სუსტად იასპარეზეს. ამის შემდეგ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები გვქონდა ლესელიძეში, ბათუმში, თბილისში, ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ სომხეთის გუნდთან. ვილნიუსში ლიტვის ღია ჩემპიონატზე ვიასპარეზეთ.

⊙ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკავშირო თამაშებს იმედის თვალით უყურებთ?

— სამწუხაროდ, არა. ვორონეჟში, სადაც 8 ივლისს აიღებს სტარტს შეჯიბრება, შვიდი სპორტსმენი მიგვყავს. მათ შორის ექვსი ძირითადია, ერთი — სათადარიგო. ისინი სამ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენ: 1974-75 წლებში დაბადებულნი სპორტის ოსტატის პროგრამით იასპარეზებენ, 1975-76 წლებში დაბადებულნი ოსტატობის კანდიდატის პროგრამით, ხოლო 1976-77 წლებში დაბადებულნი — პირველთანრიგოსანთა პროგრამით. დღეისთვის თამაშებზე გასამგზავრებლად ხუთი ოსტატი მოვამზადეთ: ლია აბდუშელიშვილი, სტელა დავიდოვა, მედეა ქუთათელაძე, ქეთევან ონიკაური და ნაირა სააკიანი. გამგზავრების წინ მათგან ოთხს შევარჩევთ. დიდ იმედებს ვამყარებდით ოსტატობის კანდიდატ სოფიკო მანაგაძეზე, რომელმაც ჯერ კიდევ სრულიად ახალბედამ შარშან სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება — ბჯენით ხტომებში ვერცხლის მედალიც დაიმსახურა. ჩვენი გუნდიდან, ალბათ, მხოლოდ მას შეეძლო ცალკეულ იარაღებზე ფინალებში მოხვედრა, მაგრამ ორიოდე კვირის წინ ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზე სოფიკომ მძიმე ტრავმა მიიღო და მისი თამაშებზე გამოსვლა სათუოა. პირველთანრიგოსანთა პროგრამით სამი გოგონა ემზადება: თეა თოდაძე, ლია გვასალია და ელა ნიკაგოსოვა. ნაკრების ღირსების დაცვა მათგან ორს მოუწევს. თავიდან გუნდური მერვე ადგილი გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ულიდეროდ ძალიან გაგვიჭირდება.

საუბარი ჩაიწერა
ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲨ.

ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜ მოთვლის, თბილისელთა, ერძოდ კი, ნაძალადეველთა რამდენი თაობა ემადლიერება ამ პარკს. ადრე, როცა ფასიანი მომსახურების ხსენებაც არ იყო და ჯანმრთელობის ჯგუფები თითებზე ჩამოითვლებოდა, ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის სიახლოვეს მცხოვრებთაგან ვინმე თუ გადაწყვეტდა, ხვალიდან თავს უნდა მიეხედო, ვარჯიში დაიწყოო, აუცილებლად მას უნდა სწვეოდა. კაცმა რომ თქვას, სხვა გამოსავალი არც იყო: მუდამ გადატვირთული ლენინის რაიონის მთავარი სატრანსპორტო ძარღვით — ოქტომბრის ქუჩით და ქარხნებით გარშემორტყმული ეს პარკი, ფაქტობრივად, ერთადერთი და ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი ბუნებრივი ჯანმრთელობის ზონა იყო ამ რაიონის მშრომელებისა და ახალგაზრდებისთვის. მაშინ აქ სავარჯიშო პირობებიც ერთობ „ბუნებრივი“ იყო — წითელი ფრაქციით დაფარული პარკის ხეივნები დილაობით მძლეოსნურ ბილიკებად იქცეოდა, ჯანმრთელობის გაკაჟების მსურველნი კი სახლიდან წამოღებული საბტუნაოთი და ესპანდერით ამრავალფეროვნებდნენ თავიანთ სავარჯიშო „რეპერტუარს“. ეს იყო დავს, მაგრამ იმ დროისთვის არც ეს იყო ცოტა: იმ უბანში, სადაც ეს პარკი მდებარეობს, გამოკითხვა რომ მოეწყოს, ძალიან ცოტას წააწყდებით ისეთს, აქ არ მირბენ-მივარჯიშიაო თქვას.

გავიდა დრო, ძველი ახალს ვერც კი შეედრება, ისე მომძლავრდა ჩვენში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. სასიკეთო ცვლილებები ამ პარკსაც დაეტყო. თავდაპირველად აშენდა კომბინირებული სპორტული მოედანი, სადაც უქმე დღეებში იმდენი მობურთალი იყრის თავს, თამაშის მსურველებს რიგში უწევთ დგომა. წარსულში ცნობილმა ფალავანმა ომარ ეგაძემ კი ჯანმრთელობის ჯგუფების ჩამოყალიბება ითავა და პარკის დირექციის ხელშეწყობით ეს საქმეც მოგვარდა — ენთუზიასტებისთვის გამოიყო დარბაზი, მოეწყო მარტივი ტიპის ტრენაჟორები. ახლა ამ დარბაზში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ჯანმრთელობის გაკაჟების მსურველთათვის საშხაპესა და გასახდელთან ერთად საუნის მოწყობასაც აპირებენ. ჯგუფები, რომლებშიც, სხვათა შორის, ძნელადაღსაზრდელ მოზარდებსაც იწვევენ, საგაზეთმენტო სისტემით მუშაობენ. ყველაზე სასიხარულო და მოულოდნელი კი ჩოგბურთის კორტების მოწყობა იყო. მოულოდნელი იმიტომ, რომ ლენინის რაიონში კორტები დღესაც იშვიათი ხილია — რა დასამალია და, საჩოგბურთო სარბიელი აქაურებისთვის დიდი ხნის განმავლობაში ფუფუნებად ითვლებოდა. კორტებზე ფასიანი მომსახურებაა, ესე იგი, საშხაპე და გასახდელი იქვეა. რაც მთავარია, ჩოგბურთის მოყვარულთა მეცადინეობას ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი გურამ თოხაძე.

ყოველივე ზემოთქმულის მერე, გასაკვირი არ არის, რომ დღეს ვ. კიკვიძის სახელობის პარკი ლენინის რაიონში გამართული მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მთავარი სარბიელია. ჯანმრთელობის დღესასწაულთა ყველაზე ხალისიანი და ხალხმრავალი ღონისძიებები სწორედ აქ ტარდება. სადაგ დღეებში კი, დილაობით, აქაურობას კვლავ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ადამიანების ფეხის ხმა აცოცხლებს.

თ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲪᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲜᲐᲠᲩᲣᲜᲘᲗ ᲨᲘᲒᲜᲘᲗᲘᲗᲐ

სასტენდო სროლის განვითარების პრობლემა მახობრიობის ხარჯზე არ გადაწყდება. ამას ვერც მივაღწევთ: ახალი ხასროლეთების აშენების უპერსპექტივობას რომ თავი დავანებოთ, ხარისხიანი თოფები და ვაზნები, მათი მუდმივი დეფიციტის გამო, ბევრ სპორტსმენს ვერ გასწვდება. რჩება ერთადერთი გამოსავალი — ინტენსიური მუშაობა, არსებული საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება.

ასეთი მუშაობა, ცხადია, მხოლოდ კვალიფიციურ, მონდომებულ სპეციალისტებს და ასევე მონდომებულ სპორტსმენებს ძალუძთ. საქართველოში, ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, მათი რიცხვი მცირეა (ისევ სასტენდო სროლის სპეციფიკის გამო), მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ საქმე კარგად გვქონდეს და გულშემატკივრებიც კმაყოფილნი იყვნენ. და ეს

არაერთხელ არის დამტკიცებული: ჩვენს გუნდს ბევრჯერ ჩამოუტოვებია იმ რესპუბლიკების წარმომადგენლები, სადაც მესტენდფურეთა გაცილებით მრავალრიცხოვანი რაზმი ჰყავთ და ვარჯიშებზეც მილიონობით ვაზნას ხარჯავენ, შეუდარებლად მეტს, ვიდრე ჩვენი სპორტსმენები. გავიხსენოთ ზურაბ მაჩხანელის, კარლო დარასელიას, თემურ მატოიანის, ტარიელ ყენტის, თამაზ იმნაიშვილისა და სხვათა მიღწევები.

გუშინდელ დღეზე ლაპარაკი მაშინ არის კარგი, თუ ეს ახლანდელი მდგომარეობის შეფასებაში გვეხმარება. საბედნიეროდ, თამაზ იმნაიშვილი კვლავ ცეცხლის ხაზზეა და მისი წყალობით იმედიანად ვართ. ის რომ გუნდიდან წავიდეს, დიდ წარმატებებს, ალბათ, კარგა ხნით დავემშვიდობებით.

ამის ერგვარი სიგნალი გახდა ჩვენი მსროლელების გამოსვლა **ქვეყნის ჩემპიონატზე,** რომელიც სულ ახლახან დამთავრდა ტალინში. შეჯიბრების ერთ-ერთმა ფავორიტმა — **საქართველოს მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდმა მხოლოდ VI ადგილი დაიკავა, ადგილიდან მსროლელები კი ათეულშიც ვერ მოხვდნენ.**

ზოგიერთმა გათვითცნობიერებულმა ადამიანმა ეს შეიძლება დროებით წარუმატებლობად ჩათვალოს, **ჩვენი გუნდი ხომ შარშანწინ ქვეყნის ჩემპიონი იყო, შარშან კი მეორე ადგილი დაიკავა. ღმერთმა ქნას, რომ ეს რიცხვი მართლაც დროებითი იყოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველ მარცხს აქვს თავისი კანონზომიერება.**

ტალინში გამოსვლის შეუფასებლობა, ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების უგულებელყოფა ოლიმპიური წლის უფრო მაღალი ინტერესის გამო არასგზით არ შეიძლება. ჩვენი სპორტი ცალკეული რგოლებისაგან შედგება, სუსტებს ვამაგრებთ, ძლიერებს უფრო ვაძლიერებთ, სასტენდო სროლა ჩვენი ერთ-ერთი ძლიერი რგოლია. აბა დამისახელეთ, **რომელ ოლიმპიურ სახეობაში ვიგებთ გუნდურ პირველობას საკავშირო ჩემპიონატებში? მხოლოდ ძიუდოში! და კი-** გამოვიდნენ ტალინის ჩემპიონატში. უარი ვთქვათ მათზე და გეზი ახალგაზრდებზე ავიღოთ? ალბათ არც ეს შეიძლება, ისინი ჯერ არ მომწიფებულან საიმისოდ, რომ ასეთ ტურნირებში რაიმე ღირებული წარმატება მოიპოვონ. **გუნდის ასეთი ხელოვნური გაახალგაზრდავებით შეიძლება აუტსაიდერთა ჯგუფში აღმოვჩნდეთ, რომლისგან თავის დაღწევაც ძალიან ძნელია. ამის მაგალითი კი ჩვენს სპორტში რამდენიც გინდა იმდენია.**

კიდევ ვიმეორებთ, ჩვენი გუნდის გამოსვლა ტალინში მართლაც მოულოდნელად წარუმატებელი იყო: გია შენგელიამ 150-დან მხოლოდ 136 სამიზნე დააზიანა, დავით ქვათაძემ — 134, არჩილ საბედაშვილმა — 123, ბესიკ კობიძემ — 133. არ დაგავიწყდეთ, პირველი სამი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრების კანდიდატია. თამაზ იმნაიშვილის გარდა ყველაზე კარგად ისევ ყველაზე ახალგაზრდა, 19 წლის ზაზა ზანდარაშვილი გამოვიდა, მხოლოდ იგი მოხვდა 24 საუკეთესოს შორის (22-ე ადგილი).

თვითონ სპორტსმენებმაც მძიმედ განიცადეს მარცხი, მაგრამ, ცხადია, ეს გასამართლებელი საბუთი არ არის. თუ ასეთი განზრახვა გვაქვს, სხვა გარემოებებს უნდა მივმართოთ, რომლებიც ნაწილობრივ მაინც გამოდგება არგუმენტად.

ტალინის სასროლეთი „ძნელ“ სტენდად ითვლება, მას საგანგებოდ უნდა მიჩვევა, რათა ალღო აუღო თეფშის ტრაექტორიას, არც ისე მკვეთრ ფონს და ა. შ. ეს კი საწვრთნელ შეკრებებზე მიიღწევა. ჩვენი გუნდის ყველა მეტოქემ წინასწარ ტალინში გაიარა მომზადება, საქართველოს ნაკრები კი იქ ასპარეზობის წინა დღეს ჩავიდა. ასეთი დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი მსროლელები ხუთი დღით ადრე ზუგდიდში გამართულ რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობდნენ. სასტენდო სროლის ღრმა ცოდნა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, **რომ ქვეყნის ჩემპიონატამდე ხუთი დღით ადრე რესპუბლიკური პირველობის დაგეგმვა არ იყო მთანაწმენონილი.**

უკვე მთავარ სათქმელს მივუახლოვდით... სასტენდო სროლაში მომუშავე მცირერიცხოვან სპეციალისტებს არც ენერგია აკლიათ, არც მონდომება, ოღონდ ეს **ენერგია და მონდომება ყოველთვის სწორად არ იხარჯება, არ გვაძლევს იმ ნაყოფს, რომლის მოცემაც შეუძლია. ხშირია დაპირისპირება, ვიწრო ინტერესებით ხელმძღვანელობა. მუშაობაში დაკარგულია ის მთლიანობა, რომელიც დიდი მიზნების განხორციელების საფუძველია.** ამას საწყენად როდი ვამბობთ, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს, კიდევ ვიმეორებთ, სიხარამაცესა და უგულობას ვერავინ დასწამებს. მაგრამ უნდა გამორიცხოს ისეთი შემთხვევები, როგორიც ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატზე მოხდა.

მაშინ კიდევ გაუწევენ კარგ სამსახურს საქართველოს ნაკრებს **გია შენგელია, დავით ქვათაძე, არჩილ საბედაშვილი, ბესიკ კობიძე... და სხვა მსროლელები, რომლებიც ამჯერად სუსტი მომზადების გამო გუნდში ვერ მოხვდნენ.** ადრინდელს ვუბრუნდებით, ტრადიციის დაკარგვა არ შეიძლება, მისი გაგრძელება კი ჯერჯერობით მხოლოდ ამ მსროლელებს ძალუძთ თამაზ იმნაიშვილთან ერთად. ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენთა დაოსტატებაც თანდათანობით უნდა მოხდეს. ისინი უნდა დაოსტატდნენ უფროსების გვერდით, მათთან ვარჯიშსა და ასპარეზობაში.

და ბოლოს, კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი საკითხი — სპორტული ბაზები. ალბათ ბევრმა იცის, რომ ზუგდიდსა და მახარაძეში ორი კარგი სასროლეთია აშენებული თვით ამ რაიონების ძალებით. აუცილებლად საჭიროა ასეთი ბაზა თბილისში. **დედაქალაქის სამხედრო-სამონადირეო კავშირის სასროლეთი ისეა გადატვირთული, ნორმალურ ვარჯიშზე ლაპარაკიც ზედმეტია.** ჩვენი სასტენდო სროლის ადგილის დედა თბილისია, პირველ ყოვლისა ტრადიცია აქ უნდა გაღრმავდეს.

მართალია, შეიძლება შეკრებების ჩატარება ზუგდიდსა და მახარაძეში, მაგრამ თბილისელი მსროლელები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ნაკრების ბირთვს შეადგენენ, სამუდამოდ იქ წომ ვერ დასახლდებიან. რეგულარული ვარჯიში კი აუცილებელია. მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდის წევრობამ შარშანწინ, ზამთრის პერიოდში, მთელი სამი თვე გაატარეს ზუგდიდსა და მახარაძეში და იმ წელიწადს მოიგეს საკავშირო ჩემპიონატიც, თასიც და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირიც. მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ მოვთხოვთ მათ ამდენი ხნით სხვაგან, ოჯახისგან შორს ყოფნას.

ზუგდიდისა და მახარაძის ბაზები უკვე გვაძლევს ნაყოფს, გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, ადრე თუ გვიან ისინი **თბილისში ჩამოვლენ სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ სად ივარჯიშებენ?** პარადოქსული სიტუაციაა, **ზუგდიდსა და მახარაძის ბაზების სიკეთეს თბილისში გავანახევრებთ, თუკი იქ აღზრდილ მსროლელებს შემდგომ ზრდის საშუალებას არ მივცემთ.**

თბილისში ახალი სასროლეთის აშენების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. თანაც ასეთი ობიექტის აგება (სასტუმროს გარეშე) სპორტული ბაზის პირობაზე საკმაოდ იაფი ჯდება, დაახლოებით 300 ათასი მანეთი. რაც მალე გადაწყდება ეს საკითხი, ჩვენი სპორტი მით უფრო მოიგებს.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲑᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

ჩხოროწყუს სარაიონო მოსწავლე კალათბურთელ გოგონათა პირველობაში გაიმარჯვა ლესიჭინეს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნაკრებმა. მეორე ადგილზე კი ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები, ხოლო მესამეზე ქვედაჩხოროწყუს საშუალო სკოლის გუნდებია.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

რაიონის სპორტულ მოედნებზე სამ დღეს მიმდინარეობდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სარაიონო პირველობა ფეხბურთში.

გაიმარჯვეს ზუმის საშუალო სკოლის მოსწავლე სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე ახუთის საშუალო, ხოლო მესამე ჩხოროწყუს მეორე საშუალო სკოლის გუნდებმა დაიკავეს.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების პირველობა ფრენბურთში მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდის გამარჯვებით აღინიშნა, მეორე ადგილი ზუმის კოლმეურნეობას ხვდა წილად.

ᲡᲝᲡᲝ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲤᲔᲖᲗᲐᲜ—ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ განათლების მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირების გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილე 14 გუნდი (თითოეულ გუნდში 4 ვაჟი და ერთი ქალი) ორ ქვეჯგუფად დაიყო. პირველში 28,5 ქულით გაიმარჯვა ქუთაისის ნაკრებმა, მეორეში კი იმარჯვა რუსთავის გუნდმა (28 ქულა). მათ შორის ფინალური შეხვედრა ძალზე სინტერესო და დაძაბული გამოდგა. საბოლოოდ ანგარიშით 3,5-1,5 გაიმარჯვეს ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა (ოსტატი თამილა მესხი, ოსტატობის კანდიდატები მერაბ მეტრეველი, ბადრი კლიმჩუკი, სოსო სირბილაძე, ეკატერინე ფახიროვა). მესამე საპრიზო ადგილს ბათუმის ნაკრები გუნდი დაეუფლა, რომელმაც სძლია თბილისის პირველი მაისის რაიონის გუნდს—3:2.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

სტატისტიკოსის გლოკნოტში

4 ივლისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

„დინამო“ (კიევი) — „ნეფთჩი“ 3:0 (2:0). გოლები: ზავაროვი, მიხაილიჩენკო და ლიტოვჩენკო.
დუბლიორები — 1:0.

„დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 1:2 (1:2). გოლები: პასულკო, როდიონოვი („სპარტაკი“), სმირნოვი („დინამო“).
დუბლიორები — 3:0.

„უალგირისი“ — „დნეპრი“ 2:2 (0:2). გოლები: კუდრიცკი, შახოვი („დნეპრი“), ნარბეკოვასი, სუკრისტოვი („უალგირისი“).
გაფრთხილეს პანკრატიევი („უალგირისი“)
დუბლიორები — 1:1.

„დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“ 1:0. გოლი შიროკიმ გაიტანა 55-ე წუთზე.
დუბლიორები — 1:1.

◎ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინ არიან გ. გურული („დინამო“, თბილისი), ა. ბოროდიუკი („დინამო“, მოსკოვი), ო. პროტასოვი („დინამო“, კიევი). — 8-8 ბურთი.

◎ **გათამაშების** დაწყებიდან სულ დაინიშნა 31 პენალტი. მათგან 19 სტუმრების და 12 მასპინძელთა კარში. ექვსი 11-მეტრიანი არ გასულა კარში.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

	თ.	მ.ფ.წ.			ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	13	9	2	2	24-9	20
„დინამო“ კ.	12	8	2	2	21-11	18
„ჩერნომორეცი“	13	7	4	2	17-7	18
„სპარტაკი“	11	7	1	3	22-12	15
„ტორპედო“	13	7	1	5	19-18	15
„უალგირისი“	12	6	3	3	27-10	15
„დინამო“ თბ.	12	6	3	3	15-13	15
„ლოკომოტივი“	11	6	2	3	19-9	14
„ზენიტი“	12	5	2	5	13-16	12
„მეტალისტი“	13	3	4	6	14-16	10
„არარატი“	12	3	3	6	16-23	9
„დნეპრი“	13	3	2	8	11-21	8
„კაირატი“	13	3	2	8	11-27	8
„დინამო“ მნ.	13	3	1	9	10-24	7
„შახტიორი“	12	2	3	7	13-25	7
„ნეფთჩი“	11	1	3	7	2-14	5

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლი: ჭუბაბრია („სალხინო“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ვ. ხუბეჯიშვილი, ი. ჯიოევი, გ. ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“), ლამბაშიძე („ივერია“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: სილაგაძე, მგელაძე („საპოვნელა“).

„სულორი“ (ვანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: პაიკიძე, ორმოცაძე („სულორი“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლები: მატუა, ჩიკინოვი („სქური“), ხუცურაული („არმაზი“).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 5:4. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი). გოლები: ცუხიშვილი, სამხარაძე, ჯაგოვი, ბეს. უგულავა-2 („მადნეული“), ძიძიშვილი, ფრუიძე, შარაბიძე, კიკნაძე („მეტალურგი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. ბებიაშვილი („მეტალურგი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ტიბუა, ვ. თუთბერიძე („დინამო“), ი. სიჭინავა („სამეგრელო“)

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ჯანგავაძე („მაღაროელი“), ჩიმაკაძე. თ. ჭიჭინაძე („კოლხეთი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ბ. ბრეგვაძე („მაღაროელი“), მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის კი დ. ჭიჭინაძე („კოლხეთი“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:1. მსაჯი გ. ხეფფაშვილი (თბილისი). გოლები: ჩიქობავა-2 („ეგრისი“), ონიანი („შადრევანი“).

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს ა. ჩხიბერიძე („შადრევანი“), მსაჯთან შეკამათებისათვის—გ. ფიფია („ეგრისი“).

„დინამო“ (გაგრა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი). გოლი: სიჭინავა („დინამო“)

მსაჯთა რეესტრი

9-10 ივნისი

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა). **მ. გარნოვსკი, გ. კვანტალიანი, ვ. ჯულაყიძე** (სამტრედია). „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სულორი“ (ვანი). **ა. კოკაია, მ. კობიაშვილი, ვ. ალიევი** (თბილისი). „სამგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მადნეული“ (ბოლნისი). **ნ. შავიშვილი, ნ. მუხაშავრია, გ. ნაკაიძე** (ბათუმი). „მეშახტე“ (ტყიბული) — „სქური“ (წალენჯიხა). **ი. გობრონიძე, ვ. გოგინოვი, ვ. ტარაბიცინი (ფოთი).** „არმაზი“ (მცხეთა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). **თ. სადილიანი** (თბილისი), **ვ. გილავა, გ. დათიაშვილი** (რუსთავი). „ივერია“ (ხაშური) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **ი. კანდელაკი, ნ. კილაძე, გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი). „დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი). **მ. კობიაშვილი, ა. კოკაია, ვ. ალიევი** (თბილისი). „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ეგრისი“ (ცხაკაია), **რ. ტალიაშვილი, რ. ვერულაშვილი, ზ. ცინცაძე** (თბილისი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი). **ჯ. წერეთელი, ნ. ფოლადაშვილი, გ. შავგულიძე** (რუსთავი). „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (გაგრა). **თ. ლორთქიფანიძე, ტ. ნიშნიანიძე, ა. წერეთელი** (თბილისი).

ზესტაფონის „მეტალურგისა“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის შეხვედრა გადატანილია.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„იმედი“ (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0, ასს (თბილისი) — „თრიალეთი“ (წალკა) 6:2, „არაგვი“ (დუშეთი) — სსი (მუხრანი) 1:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:0, „თორი“ (ბორჯომი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 0:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 2:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 4:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 4:3, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1, „კოლხეთი“-2 (ფოთი)— „მამისონი“ (ონი) 2:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:4, „დვაბზუ“ (მახარაძე) — ხდკ (სამტრედია) 4:2, პოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „მზიური“ (გალი) 2:4.

III ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„თუშეთი“ (ახმეტის რ-ნი) — „მარაბდა“ (კოდა) 3:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „გარისი“ (თეთრი წყაროო) 3:3, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „ქიზიყი“ (სიღნაღის რ-ნი) — 4:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ნაფარეულის“ (თელავის რ-ნი) 1:1.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ზაუმა“ (ადიგენი) — „ბოგდანური“ (თერჯოლა) 2:0, „ავტომობილისტი“ (ვაჩნარ რ-ნი) — „ბერრია“ (ჯორული) 4:0, „ჯალაბანი“ (ცხინვალი) — „ცენტრმეტალურგშენი“ (ზესტაფონი) 1:1, „ფარეანა“ (ბოგდანოვკა) — „ფეიქარი“ (ხაშურის რ-ნი) 1:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„სუბტროპიკი“ (სოხუმი) —უნივერსიტეტი (სოხუმი) 2:4, „ბეთლემი“ (ქედა) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 1:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 2:1, „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 6:1, „სპარტაკი“ (ბათუმი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 1:1, „ზანა“ (ანაში) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 4:1.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

	თ.	მ.ფ.წ.			ბ.	ქ.
„სულორი“	18	14	3	1	29-8	31
„კოლხეთი“	18	14	1	3	41-21	29
„დინამო“ ზ.	18	10	7	1	35-14	27
„შადრევანი“	18	9	5	4	29-21	23
„ამირანი“	18	10	2	6	31-16	22
„მადნეული“	18	9	4	5	33-28	22
„დინამო“ გ.	18	9	2	7	24-21	20
„დურუჯი“	18	6	6	6	21-23	18
„სამეგრელო“	18	8	1	9	27-30	17
„საპოვნელა“	18	7	3	8	27-23	17
„სალხინო“	18	7	3	8	28-32	17
„მეშახტე“	18	6	4	8	13-21	16
„ქართლი“	18	6	4	8	21-30	16
„მეტალურგი“	18	6	3	9	31-31	15
„სპარტაკი“	18	6	3	9	28-30	15
„მაღაროელი“	18	6	3	9	21-27	15
„ბახტრიონი“	18	6	3	9	20-26	15
„ივერია“	18	6	3	9	20-30	15
ფიზკ. ინს. თბ.	18	3	7	8	23-31	13
„სქური“	18	4	4	10	20-31	12
„ეგრისი“	18	3	5	10	15-31	11
„არმაზი“	18	3	4	11	19-3[illegible]	1[illegible]

გვატემალა—მექსიკის ნაცვლად

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა ციურიხში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მექსიკელ ფეხბურთელთა ნაცვლად 1988 წლის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალში მონაწილეობას მიიღებს გვატემალის გუნდი.

ფიფა-მ, გარდა ამისა, 2 წლით დისკვალიფიკაცია მისცა მექსიკის ყველა სხვა გუნდს იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში 4 მოთამაშე გამოდიოდა წესის დარღვევით (მათი ასაკი დადგენილზე მეტი იყო).

რაც შეეხება გვატემალის ნაკრების დაშვებას ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალში, ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა ფიფა-ს საგანგებო კომისიამ, რომელსაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კოლოსკოვი ხელმძღვანელობდა. გვატემალელებმა მეორე ადგილი დაიკავეს შესარჩევ ჯგუფში მექსიკელთა შემდეგ. ისინი შეუჯანილი არიან ფინალური ტურნირის „ვ“ ჯგუფში, სადაც მათთან ერთად გამოდიან ზამბიის, ერაყისა და იტალიის ფეხბურთელები.

მილანის „ინტერნაციონალემ“ (იტალია) განსაკვირებელი თანხა 7,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა მადრიდის „რეალს“ ახალგაზრდა ფეხბურთელის მიგელ გონსალეს-მიჩელის საფასურად. თუ ეს გარიგება შედგა, მაშინ „რეალს“ ეს 24 წლის ნახევარმცველი მსოფლიოს ერთ-ერთი ძვირადღირებული ფეხბურთელი იქნება (შედარებისთვის: „მილანმა“ დაახლოებით მილიონი გირვანქა სტერლინგით ნაკლები გადაიხადა ერთბაშად ორი ფეხბურთელის — გულიტისა და ვან ბასტენის შესაძენად). ეტყობა მილანელებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ მიჩელი თავიანთ გუნდში იხილონ.

არგენტინის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა ხორხე ალბერტო ვალდანომ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო იმ ვარაუდით, რომ მას უცხოელ მოთამაშედ აღარ ჩათვლიდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ვალდანო დარწმუნებულია, რომ ამ საქმის გასაჩივრება მას წარმატებას მოუტანს, მაგრამ პროცესი შეიძლება მთელი წლის განმავლობაში გაჭიანურდეს. ამიტომაც ფეხბურთელს გადაწყვეტილი აქვს კლუბთან კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ თავი დანებოს ფეხბურთს და ჟურნალისტიკაში სცადოს ბედი.

ბევრი მოგზაური ვერ შეედრება „გლაზგო რეინჯერსის“ 19 წლის მცველს სკოტ ნიზბეთს. შარშან, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ის იმყოფებოდა ჩილეში, იტალიაში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, შვეიცარიაში, საბჭოთა კავშირში და დუბაიში.

ინფორმაცია მოამზადა
მირიან ბაღდაველიძემ.

არგენტინელი ხორხე დომინგესი თავის ახლანდელ კლუბ „ტულონში“ სეზონის დამთავრებამდე ვერ ითამაშებს. მიზეზი ერთი ფრანგი ჟურნალისტის შეურაცხყოფა გახლავთ.

კარლ-ჰაინც ფიორსტერი აღარ განაახლებს კონტრაქტს მარსელის „ოლიმპიკთან“ და სათამაშოდ შვეიცარიის „ქსამაქსში“ გადავა. აქ იგი შეცვლის თანამემამულეს ული შტილიკეს, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს.

„ჰამბურგის“ მენაჯერმა ფელიქს მაგათმა პოლონელ მიროსლავ ოკონსკის გფრ-ის მოქალაქეობის მიღება შესთავაზა, რათა გუნდს მესამე უცხოელი მოთამაშის მიღების უფლება ჰქონოდა, მაგრამ მტკიცეული უარი მიიღო.



პოლონეთის ჩემპიონატის შარშანდელი ბომბარდირი მარეკ ლესნიაკი წლეულსაც საუცხოო ფორმაშია. „პოგონის“ შემადგენლობაში მას უკვე 19 გოლი აქვს გატანილი. ლესნიაკს თვალი დაადგეს „ლევერკუზენის“ აგენტებმა.

(ხაკ. ინფ.).

ავსტრალიური ფეხბურთი

სპორტულ თამაშობათა შორის ფეხბურთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში, მაგრამ არსებობს ფეხბურთის ნაირსახეობანიც, კერძოდ, ავსტრალიური ფეხბურთი.

ეს თამაში მთელს მწვანე კონტინენტზეა გავრცელებული. მისი წესები ვინმე გ. ჰარისონმა შეიმუშავა, ხოლო პირველი ოფიციალური მატჩი 1858 წელს შედგა მელბურნში. ეს თამაში ევროპული ფეხბურთისა და რეგბის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. სათამაშო მინდვრებს არა აქვს ჩკაცრად დადგენილი ზომები, მაგრამ საშუალოდ მას სჭირდება 170 მეტრი სიგრძისა და 140 მეტრი სიგანის ფართობი. მინდვრის სპირისპირო მხარეებზე იდგმება კარები, რომლებიც 3 სექციადაა დაყოფილი. თამაში მიმდინარეობს ოვალური ფორმის ბურთით, ყოველ გუნდში 18 სპორტსმენია, თამაშის მიზანია მეტოქის კარში ბურთის გატანა. თუ იგი კარის შუა ნაწილში გავიდა, გუნდს 6 ქულა ეწერება, თუ გვერდით ჭრილებში — თითო ქულა. ბურთით ხელში ნებადართულია მხოლოდ 9 ნაბიჯის გადადგმა.

ავსტრალიური ფეხბურთი მოთამაშეთაგან დიდ ფიზიკურ მომზადებას და სისწრაფეს მოითხოვს, ისინი ბურთს 60-70 მეტრზე ტყორცნიან, ხოლო წამყვანი კლუბების შეხვედრებს 100 ათასამდე მაყურებელი ესწრება.

მ. ბასალაკინი.

არბიტრებს იწვევენ... სასამართლოში

ერთობ უჩვეულო ამბავი მოხდა ამას წინათ ტაჯიკეთის საფეხბურთო ჩემპიონატში. ქ. პარხარის ბამბის საწმენდი ქარხნის შრომითმა კოლექტივმა გადაწყვიტა სახალხო სასამართლოს მიმართოს თავისი გუნდის „ხოსილოტის“ დასაცავად. ქარხანა მოითხოვს იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია დუშანბეში თავისი გუნდის კალენდარულ მატჩზე გასამგზავრებლად (თამაში ჩაიშალა). საჩივარზე პასუხს აგებს ტაჯიკეთის ფეხბურთის ფედერაცია, უფრო სწორად, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები ა. ტარბაევი, ს. ლი და ვ. დმალაჯანოვი, რომლებიც არ გამოცხადდნენ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩის სამსაჯოდ.

რამ გამოიწვია ქარხნის შრომითი კოლექტივის ასეთი უჩვეულო გადაწყვეტილება? შეიძლება ითქვას: სრულმა სამეურნეო ანგარიშმა, თვითდაფინანსებამ, ყაირათიანობამ. სწორედ კალენდარულ მატჩზე მსაჯთა ბრიგადის გამოუცხადებლობამ გამოიწვია ის, რომ ბამბის საწმენდი ქარხნის გუნდი ამაოდ გაემგზავრა დუშანბეში და საგრძნობი ხარჯებიც გასწია.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ტაჯიკეთის საფეხბურთო ჩემპიონატში გუნდებს გაუმართლებელი ხარჯები აქვთ. ცოტა უფრო ადრე სწორედ ორგანიზაციული ხასიათის უწესივრობათა გამო ჩაიშალა „ხოსილოტის“ მატჩი ქალაქ კულიაბის „რავშანთან“, ამ მატჩისთვის კი ადრევე გაიყიდა არა მარტო მატჩზე დასასწრები ბილეთები, არამედ სპორტული ლატარიის ბარათებიც, გარდა ამისა, რაიცენტრის საზაკეების მუშაკებს საკმაო შრომა დასჭირდათ, რათა სხვაგან გაესაღებინათ სპეციალურად ამ მატჩისთვის დამზადებული პროდუქცია. „შრომითი კოლექტივის მოთხოვნა გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად სავსებით კანონიერია, — ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარ ინციდენტს ტაჯიკეთის სსრ სპორტსაბჭოს ფეხბურთის განყოფილების უფროსმა ი. ვახიდოვმა. — ფედერაციამ შესაბამისი დასკვნა უნდა გამოიტანოს, მსაჯებს კი, რომლებიც მატჩზე არ გამოცხადდნენ, პასუხი მოეთხოვოთ. ტაჯიკეთის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ საჭიროა ანალიზი გაუკეთოს ამგვარ მოვლენებს, ხოლო რესპუბლიკური საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში შესაბამისი შესწორება შევიტანოთ დამნაშავე პირთა ჰაჯუხისმგებლობის „გაზრდის თაობაზე“.

ს. ტროფიმოვი.
(ხაკდენის კორ.).

სტატისტიკა... სტატისტიკა



◎ **ევროკის** VIII [illegible] ჩემპიონატის დღეებში გფრ-ში სულ 160 ფეხბურთელი ჩავიდა, მათგან უშუალოდ მინდორზე გამოვიდა 127 მოთამაშე.

◎ **ყველაზე** მეტი ფეხბურთელი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშეს დანიელებმა — 19. სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებმა სულ 17 ფეხბურთელი გამოიყვანეს მინდორზე.

◎ **ირლანდიისა** და ინგლისის ფეხბურთელებს ამ ჩემპიონატში არც ერთი ყვითელი ბარათი არ დაუმსახურებიათ.

◎ **ჰოლანდიელთა** მწვრთნელმა რ. მიჰელსმა ფინალურ მატჩში არც ერთი ფეხბურთელი არ შეცვალა. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში, სადაც ფეხბურთელი არ შეუცვლიათ.

◎ **გფრ-ის** ფეხბურთელებს ბურთის გაუტანლად არც ერთი მატჩი არ დაუმთავრებიათ.

◎ **ჩემპიონატზე** ყველაზე პოპულარული იყო ანგარიში 2:0. ასე დამთავრდა 5 მატჩი.

პატიკო ბუკია.
ხობის რ-ნი, სოფ. ხეთა.

სად ვივარჯიშოთ, სად დავისვენოთ, სად ვიასპარეზოთ?

შაბათს და კვირას

9 და 10 ივლისს, დასვენების დღეებში, თბილისის საცხოვრებელ ადგილებში ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. პროგრამაშია **მინი-ფეხბურთი** (ლენინის 67, 18 ს.), ვაკის პარკის მოედნები (10 ს.), ჭავჭავაძის პროსპექტი, 3, (12 ს.), საქსოფმენქანის დასახლება (17.30 წ.). **მაგიდის ჩოგბურთი** (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია 12 ს.). ლისის ტბის მიდამოებში შაბათს და კვირას **ტურისტულ ლაშქრობას** აწყობს საბურთალოს რაიონის სპორტკომიტეტი, დასაწყისი 10 საათზე. მაუდ-კამოლის სტადიონის ფრენბურთის მოედანზე გრძელდება მუშათა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება **ფრენბურთში** (10 ს.).

ქუთაისში, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის სტადიონზე შაბათს და კვირას ჩატარდება ქიმიური და ნავთობმრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება **ფეხბურთში** (11 ს.).

ჭიათურა უმასპინძლებს **მშდ** მრავალჭიდში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობას (10 ს.).

კვირას, 10 ივლისს დუშეთში გაიმართება მეცხვარის დღისადმი მიძღვნილი **მასობრივი სპორტული ღონისძიება** (10 ს.).

ჩოხატაურში სპორტის ეროვნული სახეობის პროგრამით შაბათს და კვირას ჩატარდება შეჯიბრება **ლელობურთში** (12 ს.).

წალკაში, ბაშკოვის ტბის მიდამოებში, 9 და 10 ივლისს მებადურის დღისადმი მიძღვნილ **მასობრივ ღონისძიებებს** აწყობს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისის საქალაქო საბჭო (10 ს.).



„კლასიკური ჭიდაობის“ კლასიკური ნამუშევარი

შრომის წითელი დროშის ორდენოსან თბილისის სამხატვრო აკადემიაში ამას წინათ დამთავრდა გამოსაშვები კურსის სტუდენტთა დიპლომების დაცვა. საგამოცდო კომისიას გამოყენებითი ხელოვნების დარგში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ირაკლი ოჩიაური. ქანდაკების განხრით განსაკუთრებული მოწონება ხვდა კომპოზიციას „კლასიკური ჭიდაობა“. მისი ავტორია 22 წლის ლაშა გუგუნავა (პროფესორ თენგიზ ღვინიაშვილის კლასი).

დიპლომანტს კლასიკური ჭიდაობის ერთ-ერთი ურთულესი მომენტი აუსახავს და პლასტიკის ენით, რეალისტური მანერით შესანიშნავად დაუგვირგვინებია ნამუშევარი. დაძაბულ ფიგურებში ფალავანთა დიდი მისწრაფება და ენერგია იგრძნობა.

კარგი იქნება, თუ კომპოზიცია „კლასიკური ჭიდაობა“ დაიკავებს ადგილს ჩვენი ქალაქის რომელიმე სპორტულ-არქიტექტურული ნაგებობის ინტერიერსა ან ექსტერიერში. იგი მართლაც იმსახურებს ამას.

ნინო ნაციაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ქვეყანაზე სტაბილური - ოლიმპიელი

მექიკოს ოლიმპიურ თამაშებზე 1968 წელს დაძაბულად წარიმართა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრების ფინალი. მაგრამ, ისევე როგორც წინა სამ ოლიმპიადაზე, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამერიკელი ალფრედ ორტერი ავიდა. მისი ჩემპიონობა ახალი ოლიმპიური რეკორდითაც დამშვენდა (64,78 მ). ეს მისი ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იყო ოლიმპიადებზე, რაც დღემდე სარეკორდოდ ითვლება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მხოლოდ ანტიკური ხანის მოჭიდავე მილონ კრიტონელმა მიაღწია უკეთეს შედეგს — ექვს ოლიმპიადაში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ თავად ორტერი მხოლოდ ოლიმპიურ გამარჯვებებს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას. ალბათ ამიტომაც მას სხვა ტურნირებში დიდად მნიშვნელოვანი სპორტული შედეგები არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით 3 მსოფლიო რეკორდს (61,10; 62,45 და 62,94 მ.).

ორტერი დაიბადა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ასტორიაში 1936 წლის 19 სექტემბერს. მან სპორტული კარიერა ჯერ ბეისბოლით, შემდეგ კი ამერიკული ფეხბურთით დაიწყო. მოგვიანებით მძლეოსნობაშიც სცადა ბედი და უკვე სკოლაში სწავლის პერიოდში გახდა ქვეყნის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში თანატოლთა შორის.

სკოლის დამთავრების შემდეგ კანზასის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე 20 წლისამ პირველივე ცდით გააუმჯობესა ძველი ოლიმპიური რეკორდი და გამარჯვების შანსი აღარ დაუტოვა ფავორიტებს კონსოლინის და გორდიენს. ოლიმპიადის შემდეგ სწავლამ გაიტაცა და მთელი ოთხი წლის განმავლობაში არ გამოუჩენია თავი სპორტში.

რომის ოლიმპიადამდე პანამერიკულ თამაშებში გაიმარჯვა, შემდეგ კი შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი და კვლავ მოხვდა ოლიმპიელთა სიაში. 1960 წელს რომში ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებამ წვიმიან ამინდში ჩაიარა, მაგრამ ორტერმა მაინც დაიცვა ჩემპიონის ტიტული და მეორედ მოიპოვა ოლიმპიური „ოქრო“.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ 1962 წელს შეძლო მსოფლიო რეკორდსმენის სახელის მოპოვება. ახლოვდებოდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. ისევე როგორც ადრე, ორტერი ამ ოლიმპიადის წინაც არ ითვლებოდა უძლიერესთა კლასიფიკაციაში პირველ ნომრად. ამას ისიც დამატა, რომ სამსახურში უარი უთხრეს შვებულებაზე და მხოლოდ ამერიკული პრესის დაჟინებული თხოვნით მისცეს ოლიმპიადაზე წასვლის ნება.

ტოკიოს ოლიმპიადის გახსნამდე ექვსი დღით ადრე წვიმიან ამინდში ვარჯიშის დროს ტყორცნის შემდეგ ამერიკელს სველ სატყორცნ რგოლში ფეხი დაუცდა და წაიქცა. ადგომა ვეღარ შეძლო. მკერდში მარჯვენა მხარეს ტკივილი იგრძნო. ბედად გვერდით აღმოჩნდა მასაჟისტი, რომელმაც დაუყოვნებლივ აღმოუჩინა პირველი დახმარება. ექიმებმა ორტერს ექვსი დღით აუკრძალეს ვარჯიში, რაზეც მან უპასუხა: მე ექვსი დღე სწორედ რომ უნდა ვივარჯიშო!

ორტერმა შეიხვია მკერდი და კისერი, ყინულით, ინექციით და ფხვნილებით გადაიტანა ტკივილები და კვლავ მოხვდა ოლიმპიურ ფინალში. მიუხედავად დაზიანებული კისრისა და ზურგის კუნთების ტკივილისა, მან მაინც გააუმჯობესა წინა ოლიმპიური რეკორდი (61,00) და მთელი 1,5 მეტრით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული ჩეხი ლუდვიკ დანეკი. გამარჯვების შემდეგ ორტერმა ინტერვიუში განაცხადა: „ტკივილი ისე მაწუხებდა, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შემეძლო, ამიტომ საერთოდ დამავიწყდა შიში და ნერვიულობა“.

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ერთ წელიწადს ბადროს არ გაჰკარებია. სამაგიეროდ დასვენებამ ბევრ რამეზე აუხილა თვალები. ენერგიით და გამარჯვების წყურვილით სავსე დაუბრუნდა სპორტს. წონაშიც საგრძნობლად მოიმატა, ამიტომაც საჭირო იყო შეეცვალა ტყორცნის ტექნიკაც. მეხიკოს წინა ოლიმპიური სეზონი ორტერმა უფერულად ჩაატარა: ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონობაც კი ვერ მოიპოვა (II ადგილი).

1968 წელს აშკარა ფავორიტად იმდროინდელი მსოფლიო რეკორდსმენი, ამერიკელი ჯერი სილვესტერი ითვლებოდა (68,40). მაგრამ სილვესტერი ოლიმპიადაზე V ადგილზე დარჩა, ორტერმა კი კვლავ



ალფრედ ორტერი.

გაიმარჯვა და შემდეგ, უკვე ოთხი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა, ხუმრობით თქვა: „მეხიკოში მე ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად ჩამოვედი და მათ დავპირდი, რომ შინ დაბრუნებამდე, სათითაოდ ყველას გვექნებოდა თითო ოლიმპიური ოქრო“.

ორტერის წარმატებას ბევრი რამ განაპირობებდა: ნიჭი, ტექნიკა, ძალა, ვითარება, მაგრამ გადამწყვეტი არც ერთი პირობა არ იყო. მაშ რატომ იყო, რომ ის მუდამ იმარჯვებდა? მთავარი ალბათ ის არის, რომ მას ჰქონდა საოცარი უნარი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზებისა და დიდი სიყვარული შეჯიბრებისა, რომლითაც განებივრებული არ იყო — ყოველთვის ვერ ახერხებდა სამუშაოდან განთავისუფლებას. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ბადროს ტყორცნა ჩემთვის დასვენებაა, ისევე, როგორც სხვებისთვის ქალაქგარეთ გასეირნება ან თევზაობა. შეჯიბრება ძალიან მიყვარს. შეჯიბრების მერე ძალიან მოწყენილი ვარ, ხოლო ოლიმპიადა კი — ეს განსაკუთრებული რამ არის“. ორტერი ვარჯიშობდა უმწვრთნელოდ.

ალფრედ ორტერი ბევრს ლაპარაკობს მარტო ვარჯიშზე. „ეს ძალიან მძიმე საქმეა, ამიტომ ვარჯიში გადავაქციე თამაშად. იმის გამო, რომ არ მქონდა საშუალება ბევრ ასპარეზობაში გამოვსულიყავი, მე თვითონ „ვთამაშობ“ შეჯიბრებებს. მაგალითად, ვარჯიშის წინ წარმოვიდგენ, რომ მოდის წვიმა, რომ ამ დროს ოლიმპიური ფინალის მეხუთე ცდაა და მერვე ადგილზე ვარ, გამარჯვება კი ძალიან მინდა. ყველაფერმა ამან შეჯიბრებაზე უკვე ჩვეულებრივი სახე მიიღო და ძალიან მეხმარებოდა“. თუ გადავხედავთ მის ოლიმპიურ ფინალებს, ცხადი გახდება, რომ მას არასოდეს სჭირდებოდა ბოლო ცდა: მელბურნში გამარჯვება პირველმა ცდამ მოუტანა, რომსა და ტოკიოში — მეხუთემ, მეხიკოში — მესამემ. ამასთან, მას ჰქონდა საკმაო სისწრაფე, ძალა, ზამბარისებური ფეხები, შშვენივრად გრძნობდა ქარს, ტრაექტორიას, ბადროს გაფრენის ოპტიმალურ კუთხეს ქარის ძალისა და მიმართულების შესაბამისად, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი იყო ტყორცნის ფინალურ მოძრაობაში.

ძალის, სიჩქარის, მოძრაობის კოორდინაციის შესანიშნავი უნარის გარდა საუკეთესო ბადროს მტყორცნელებს აქვთ კიდევ ერთი სპეციფიკური თვისება: იარაღის გრძნობა. ბადრო ფრენისას ჰაერში „მიცურავს“ შეურხევლად. მაგრამ ბევრი დიდი სპორტსმენიც კი ხშირად ვერ აღწევს ამას. ხშირად მათი ბადრო ფარფატით მიფრინავს. ორტერი ძალიან ზუსტად გრძნობდა იარაღს, რაც მის მაღალ ტექნიკაზე მეტყველებს.

მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ ორტერმა მხოლოდ 1970 წლის შემოდგომაზე განაახლა ვარჯიში. საჭირო იყო დაკარგული ფორმის აღდგენა, მაგრამ ექვსი თვის ვარჯიშის შემდეგ იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი სურვილის შესრულებაზე, რაც მრავალი პრობლემით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ ორტერს რვა წლის განმავლობაში არ მიუღია შეჯიბრებაში მონაწილეობა. 1978 წელს მან პრესაში განაცხადა, რომ დაიწყო ვარჯიში მოსკოვის ოლიმპიადაში გამოსასვლელად და თავისი საუკეთესო შედეგებიც კი გააუმჯობესა, მაგრამ მისი ოცნება აღარ განხორციელდა — ამერიკელთა გუნდი მოსკოვში არ ჩამოსულა.

ბიორგი და შალვა კოკოჩაშვილები.

დოსაფის ორგანიზაციებში

ჰაერშია „მცირე ავიაცია“

რუსთავში, დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ჩატარდა ნორჩ ავიამოდელისტთა 56-ე და რაკეტა-მოდელისტთა მე-14 რესპუბლიკური შეჯიბრებები, რომლებშიც 11 გუნდი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, მეორე — რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდმა, მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდი.

მოსწავლეები ასპარეზობდნენ „საჰაერო ბრძოლის“, პილოტაჟური, პლანერების, ტაიმერული, რეზინძრავიანი ავიამოდელების სახეობებში, ლენტიანი და პარაშუტიანი რაკეტების კლასებში.

რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ა. ყიფიანი, გ. ნემანიშვილი, ბ. სარქისოვი, მ. ბიჭიაშვილი, მ. მურადიანი, ბ. ზიზიკაძე (ყველა — თბილისი), დ. დარასელია და გ. ქელეხსაევი (ორივე — რუსთავი).

სურენ ვართანესოვი,
ავტორის ფოტოები.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 7 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა ტალინიდან) — **21.15 (2).**

8 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სპორტული არენა. დოკუმენტური ტელეფილმი „უცნობი ქალის პორტრეტი“ — **13.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — **19.55 (2);** კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი (გადაცემა ჰოლანდიიდან) — **23.50 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 8 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). 7 ივლისის მატჩის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერი — **22.50;** კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი — **23.50.**

საქართველოს რადიო. 7 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). II ტაიმის რადიორეპორტაჟი — **21.00.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა — **23.00.**

„სპორტპროგნოზი“

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები

1—X, 2—X, 3—2, 4—1, 5—2, 6—X, 7—X, 8—X, 9—2, 10—1, 11—1, 12—X, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ელვა-ინფორმაცია

მხოლოდ წამის 5 მეასედი დაკლდა მაია აზარაშვილს, რომ კვლავ მოეპოვებინა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი 200 მეტრზე რბენაში. მან ტალინში გამართულ შეჯიბრებაში 22,70 აჩვენა და მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონის ლუდმილა კონდრატიევას შედეგია 22,65. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის მეოთხე ადგილზე გავიდა ბესიკ გოცირიძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10796